

## კომერციალიზაციის პროცესის სისტემური ტოპოლოგიისათვის

- საინოვაციო სფეროს "საკადრო უსაფრთხოების" განხორციელების მიზნით საინოვაციო მოღვაწეობის საკადრო უზრუნველყოფის სტრატეგიების განსაზღვრა, საინოვაციო სფეროს მომსახურე სპეციალისტთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მრავალსაფეხურიანი სისტემის ორგანიზება;
- ახალი პროდუქტის ფილოსოფია და განვითარების სტრატეგია;
- ახალი პროდუქტის იდეის გენერაცია;
- იდეათა პირველადი გადარჩევა;
- ახალი პროდუქტის ბიზნეს-ანალიზი;
- ახალი პროდუქტის პილოტ-ვარიანტის შექმნის პარამეტრიზაცია;
- ახალი პროდუქტის ბაზარზე ტესტირების იდეოლოგია;
- ახალი პროდუქტის კომერციალიზაციის უზრუნველყოფა;
- ლიცენზირების პირობების განსაზღვრა;
- სალიცენზიო ხელშეკრულებათა საპილოტე დაპროექტება (მხარეთა შორის წარმოქმნილი დავის არბიტრაჟში მოგვარების უმთავრესი დებულებების ჩამოყალიბების ჩათვლით);
- კლიენტისთვის მიუღებელი რისკების მიმოხილვა;
- ანალიზი იმისა თუ ტექნოლოგიის გარდა კიდევ რას გადასცემს კლიენტი ლიცენზიის მიმღებს;
- გადასაცემი ტექნოლოგიის შეფასება ლიცენზიის მიმღების თვალსაზრისით;
- ლიცენზიის მიმღების ტექნოლოგიის შექმნასთან დაკავშირებული სავარაუდო ხარჯების შეფასება;
- ტექნოლოგიის გადაცემასთან დაკავშირებული კლიენტის ხარჯების შეფასება;
- კლიენტის მიერ ტექნოლოგიის ინტუიციური შეფასება;
- კლიენტისთვის ღირებული არაფულადი კომპენსაცია;
- კლიენტისთვის "იდეალური" შეთანხმების სტრუქტურა;
- სასამართლო სარჩელის არსობრივი კონსტრუირება, რაც ინტელექტუალური საკუთრების სფეროში პატენტის, საავტორო უფლების, ნოუ-ჰაუს, კომერციული საიდუმლოს კონფიდენციალობის, ლიცენზირების პირობების სამართლებრივი კოლიზიითაა ინიცირებული;
- საბაზრო წილის მოპოვების ტექნოლოგიური უზრუნველყოფა;
- ბაზარზე შესვლის დროის შემცირება;
- ახალი ბაზრების ხელმისაწვდომობა;
- არსებული რესურსებისა და აღჭურვილობის გამოყენების ინტენსიფიცირება;
- პროდუქტის "სასიცოცხლო ციკლის" განსაზღვრა შესაბამის ბაზარზე;

- ახალი პროდუქტის ადვილად შესამჩნევი, საიდენტიფიკაციო მახასიათებლის განსაზღვრა;
- ახალი პროდუქტის საიდენტიფიკაციო მახასიათებლის მაღალი სარგებლიანობის მტკიცებულების შექმნა;
- “შიგა სტანდარტისა” და ახალი პროდუქტის საიდენტიფიკაციო მახასიათებლის არაწინააღმდეგობრივი არსის საპილოტე დაპროექტება;
- მრავალდონიანი სარეკლამო განაცხადის შედგენის კომპეტენცია.

*სტუ-ს კომერციალიზაციის დეპარტამენტი*